ა მ ო ნ ა წ ე რ ი

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი დ ა ნ №3

2021 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა.

სხდომა ჩატარდა დისტანციური რეჟიმით.

სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები: ავთანდილ არაბული, ნოდარ არდოტელი, მარინე ბერიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, გიორგი გოგოლაშვილი, თამარ ვაშაკიძე, ნანა მაჭავარიანი, სალომე ომიაძე, ლია ქაროსანიძე, ვაჟა შენგელია, იზა ჩანტლაძე, მერაბ ჩუხუა, გიორგი ცოცანიძე.

საარჩევნო სიის მიხედვით, სამეცნიერო საბჭოს წევრთა (ამომრჩეველთა) რაოდენობა არის 13. კენჭისყრაში მონაწილეობდა სამეცნიერო საბჭოს 13 წევრი.

დღის წესრიგი:

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის **ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელის** (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის – 10 წლის ვადით, 1 საშტატო ერთეული) **არჩევა**.

სამეცნიერო საბჭომ ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, 3 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემოსული დოკუმენტაცია ერთადერთი კანდიდატისა – **სალომე ომიაძისა**, რის შემდეგაც გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს: ნოდარ არდოტელმა, ლია ქაროსანიძემ, მერაბ ჩუხუამ, მარინე ბერიძემ, ვაჟა შენგელიამ, ნანა მაჭავარიანმა, იზა ჩანტლაძემ.

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის – 10 წლის ვადით) თანამდებობაზე **სალომე ომიაძის** არჩევას ხმა მისცა სამეცნიერო საბჭოს 13 წევრმა, წინააღმდეგი – არცერთი.

დაადგინეს:

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელად (მთავარ მეცნიერ თანამშრომლად – 10 წლის ვადით, 1 საშტატო ერთეული) არჩეულ იქნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სალომე ომიაძე**.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: ვ. შენგელია **ვაჟა შენგელია**

სამეცნიერო საბჭოს სხდომის მდივანი: მ. ლაბარტყავა **მაკა ლაბარტყავა**